<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 239-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე, 57^1, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1- 59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4–69^6, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^5 მუხლებით, 79^6 მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79^7, 79^8 და 82^1–82^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 87^1–87^3 და 89-ე–89^3 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103^1, 104-ე და 128^2–128^5 მუხლებით და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე